

რედაქცია: სოლოლაკზე, სერგივეს ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში, № 8.

კანტორა რედაქციისა: სერგივეს ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Типографіи. Въ редакціи газ. „Дროба“.

გაზეთის ფასი: თელავს წლისა—8 მან., წყევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

# ფრომეპ

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

ფასი განცხადებისა: დიდი ასრებით ასრზე—1 კაპ., სოციალურული სტიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციკლოთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

## ხელის-მოწერა გაზეთს

### „დროებაზე“

ფასი ნახევარი წლის გაზეთისა (პირველ ივლისიდან პირველ იანვრამდინ 1879 წლისა) 4 მან. და 50 კაპეიკი. პირველი აგვისტოდამ წლის დასრულებამდინ—4 მან.

ხელის-მოწერა მიიღება: თფილისში, (სერგივეს ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში, № 8). ძალაქს გარეშე მცხოვრებთათვის აღრესი: ВЪ Типографіи. Въ редакціи газетъ „Дроба“.

## საქართველო

### დღიური

\* \* \* ბამოვიდა უმაღლესი ბრძანება, რომლის ძალითაც მთუთისის გუბერნიისაში, სოხუმისა და შავი ზღვის ნაპირების მახრეში და აგრეთვე ალექსანდრპოლის, ახალციხის, ახალქალაქისა და სურამალის მახრეებში ამ ენკენისთვის პირველიდამ მოისპობა სამხედრო მდგომარეობა და დაწესდება ისეთივე სამოქალაქო წყობილობა, როგორიც ომის გამოცხადებამდინ იყო.

\* \* \* ბუშინ მოვიდნენ კიდევ ქალაქში რამდენიმე რატა თფილისის პოლიცისა. ძალაქი დიდის ამბით დაუხედა ამ ბრძოლის ველიდამ დაბრუნებულ ჯარს, რჩევის ხმოვანი, უსტაბაშები, ხელოვნები და ამქარი ვაგზალზე მიეგებნენ; ხალხი თავიგულდებით უხვდებოდა ყველგან ქუჩებში და ყვავილები წვიმავით სცვივოდა სალდათების თავებზე; თოფებში, ღილებში, ქუდში—ყველგან უტენილდნენ სალდათებს ვარდებსა და სხვა-და-სხვა ყვავილებს.

ღეს ძალაქი ამ ჯარს სადილს უმართავს ალექსანდროვის ბაღში; დღესვე 2 საათზე კიდევ მოვიდნენ ჯარებს.

\* \* \* ბუშინ, ხუთ შაბათს, ჯვართ-ამაღლების დღეს, ყოვლად უსამღღელოდღესის მისკობრისს ალექსანდრეს თაოსნობით,

სიონში იყო ქართული წირვა და ორპირი ქართული გალობა, გურულები და მარბელოვისა.

ღიდიძალი ხალხი მივიდა სიონში ამ ქართული გალობის საყურებლად.

მაგრამ საუბედუროთ, ძალიან ცოტა დარჩა ამ გალობით დაკმაყოფილებული. მგალრბლებს ეტყობოდათ, რომ თითქმის სრულიად არ იყვნენ მომზადებულნი, არ იცოდნენ—რომელ პირს რა და როდის უნდა ეგალობნა, ერთი-ერთმანეთს ართმევდნენ პირში სიტყვას.

რაიცა შეეხება თვითონ გალობას, ხმას არც ეს მოეწონა ბევრს. ბურულო გალობას მხოლოთ სამი ხმა ამბობდა, ამათშიაც ორს ამ მოკლე ხანში აქვსთ, როგორც ამბობენ, შესწავლილი. მარბელოვის გალობა უფრო კარგათ მიდიდა, ხმებიც მომეტებული იყო (შეიდი), უფრო კარგათაც დაწყობილი და უფრო გარკვევითაც გალობდნენ.

მაგრამ საზოგადოთ ორთავეს გალობერთობ ერთ-ხმოვანია (მონოტონური), ჩვენის ჰაზრით, ამ ორთავე გალობისაგან ერთი, საზოგადო გალობა უნდა შესდგეს და ჩვენს საეკლესიო გალობას ცოტა გამშვენებებ, ცოტა გაცოცხლება ეჭირება უფრო კარგი, უფრო სასიამოვნო მოტივებით..

\* \* \* ჩვენ მივიღეთ მზურგეთიდან ერთი შენიშნვა, რომელშიაც აწერილი საზიზლარი ამბავი სასიკცხოთ უნდა მიანდეს ქართველს; მაგრამ ჩვენ შინც ვებეჭდავთ, რადგან საჭიროა ამისთანა ამბის ჩამდენი კაცი ქვეყანამ იცოდეს და თავის მოძმეებისაგან ზნეობითად მაინც ჩაქვავებული იყვეს.

აი ეს შენიშნვა:

„ერთი საწყალი გლეხ - კაცი სცხოვრებდა მზურგეთში. მდიანობის დაწყებამდინ ის აღდა თავის ოჯახით ერთს პატარა ქოხში და თავის შრომით პოულობდა ლუკმა პურს.

ახლა რომ ეს გლეხი ნახოთ, ვერ იცნობთ. მისი სახლი უქნასკნელი ორას თუმნად მაინც ღირს; ამ სახლში ათასი მანეთის მებელი და სხვა მოწყობილობა

იქნება, და, ამბობენ, რომ თვითონ გლეხსაც სამი ათას მანეთამდინ ჯიბეში უჭყავისო.

„მკითხავთ:—რა ნაირად შეიძინა ამ საწყალმა გლეხმა ეს ამდენი შეძლება? აი რა ნაირად:

„მას ჰყავს ერთი ლამაზი ქალი. და ხომ მოგვხსენებთ, ამ „ვენობის“ დროს აქ, მზურგეთში, ბლომად გახლდნენ და სხვა-და-სხვა სამხედრო და სამოქალაქო უცოდო ჩინოვნიკებით. მსენი კარგა იცნობდნენ იმგლეხს და ხშირი სტუმარიც იყვნენ იმის ოჯახისა....“

„მამა—ქალის გამყიდავი! ბაზზე უსაძაგლესი კიდევ იქნება - და რამე?!

\* \* \* ნამესტნიკის მთავარ სამმართველოს შერისი მთხოვნელებს და საზოგადოთ იმ პირთ, რომელთაც იმასთან რაიმე საქმე აქვს, მიიღებს კვირაში ორჯერ: სამშაბათობითა და შაბათობით, დილის 10 საათიდან.

### „დროების“ კორრესპონდენცია

მეჯვრის - ხმვი, 10 სექტემბერს. მეჯრუხევეში ახალი არა განლაეს - რა, ამისთვის რომ ჩვენში ახალს ადგილი არა აქვს; სულ ძველი და ძველი.

პურის მოსავალს შეეხაროდით, იმაშიაც მოვეტყუვდით: ისეთ ნაირათ წახდა პური, რომ ნეტავი თესლი მაინც ავიდოთ.

ახლა ჩვენ იმედათ დარჩნენ საშინლათ მსხმოვიარე ვენახები, თუ ზეცამ ამებსაც არა უნიშათა - რა, უხვი ღვინო მოგვივა წელსა. უყურეთ მაშინ ქეიფსა! ის დალოცვილი ბაზუსი მამა იყო რა იყო ჩვენი მართლობისა, რომ ქართველს ასე უყვარს ნუნუა?!

ჩვენი იმედი, როგორც მოგახსენეთ ებლა ვენახებია—დიდის სინარულით შეგეურებთ ამ მთელი წლის ნაწარმოებს; ამანაც რომ ხელი არ მოგვეცეს, დმერთმა თქვენ მტერს, პოვზი ნაწარში ჩაგვივარდნა.

ღიან სინარულით მოველით უხვს ღვინის მოსავალსა. მაგრამ რა გამოვიდა?—მანა ჩვენ სოფელში სინარული

დიდხანს გასტანს? ჩვენში სიხარული მოულოდნელი წუთის სტუმარია, — არი რაღაც უეცრივი მოვლინები გამოგვიტყვერენ, რომლებმაც ყველაფერი ჩაგვაშხამა: პირველი კოდელი ნინოს (მკითხავი გახლავს 19 საუკუნის), მოსვლა, რომელმაც თავისი გველი ენით შეაძულა ცოლი ქმარსა, დედა შეიღობსა. მეორე მალაკის სიკვდილი. — ამ მოგახსენოთ შენი ჭირიმი:

იმ დღეს ჩვენს მამასახლისს დაუმწყევღვია სოფლის სატუსალოში ერთი მალაკანი, რომელიც წინათ, როგორც შევიტყვე ს. მეჯრუხევი ცხოვრობდა. როდესაც იგი მიეყვანათ დასამწყევღვით ამ უბედურს მსხვერპლს ეთქვა მამასახლისისთვის:

— ნუ დამამწყევღვე, თორემ თავს დაეინჩხოზო!

მინც არ დაეშალა მამასახლისს და დაემწყევღია იგი. როცა გაგზავნეს იასაულეები ერთი საათის განმავლობაში გამოსაშვებლათ, ნახეს იასაულეებმა, რომ ეს მალაკანი საბყრობილეში ბოძებდ ჩამოკიდულია ხელცანკით..

დიდი ალიაქოთი, დიდი მოძრაობა მოხდა: მამასახლისმა მაშინვე მახრის უფროსს შეატყობინა, რომელმაც ჯეროვანი ღონისძიებანი იხმარა საქმის გამოსაძიებლათ, გამოგზავნა ჩინოვნიკი და მახრის დოქტორი. ნახეს, გასტყრეს და შეამოწმეს, რომ ეს უბედური მსხვერპლი დამხრჩვალყო. რითა, რა მიზეზით? — ეს კი რა მოგახსენო; ამხედ ცნობები მახრის უფროსს წარუდგინეს გამომძიებლებმა.

მიზეზი ამ მალაკის დახრჩობისა, როგორც დამარწმუნეს, გახლდათ ისა, რომ ჩვენმა მეღუქემ და მამასახლისმა უსაფუძვლოთ დაატყობინეს ეს კაცი, მერე იმისთანა დღეს, როგორც ფერისცვალობა და იმოდენა ხალხში ბაზარში ჩატარეს თურმე დატყობილი; თავ მაშინვე ახალგაზდა ყმაწვილი ბიჭი, იყოვო, სულ 20 თუ 19 წ. ამპარტავენი და

გულ-მოსული იყოვო. რასაკერეღია ამითი მას ძრიელ შეერყეოდა თავის-მოყვარეობა, მეორე მიზეზი ის უნდა იყოს რომ უბედური მეტათ ლოთი ყოფილა და იქნება სულ ის ამ ავით მყოფობის მსხვერპლი გახდა.

ამ მალაკის სიკვდილს ხალხი თურმე დიდ ყურადღებას აქცევს, რადგანაც იმ სახლში, სადაც ამას თავი დაუხვრჩია, ამის გარდა სხვა რამეებიც მომხდარა თურმე აქა:

1, ერთ დედაკაცს ჩაუსვამს ქვევრში შვილი, მგონი ჭაჭის ამოსაღებათ; ღვინის სუნით (გაზით) სული შევუბებია ბავშვსა, წაქცეულა და დამხრჩვალა. დედას როცა გაუგია ეს ამბავი, ქვევრში ჩაჰყუდებია საშველათ; ისიც სხვა-და-სხვა წარმოდგენების გამო შვილის უბედურობაზედ, მისუსტებულა, გული წასვლია და თავი ჩაკიდებულა, დამხრჩვალა.

21 ამავე სახლში, თუ ამავე სახლის მახლობლად, გამოგონია ერთი შესანიშნავი ამბავი განა მარტო ს. მეჯრუხევი არამედ სამთავისსაც და ს. შალასაც: ზემოხსენებულ სახლშიდ ყოფილა ერთი მშვენიერი გლეხის გოგო რომლისთვისაც ერთ პირს (ამ სოფლებში ყველა იცნობს ამ პირს) ცოლ-ქმრობის პირობა მიუტია; მაგრამ შეცდენის შემდეგ, ჯვარი არ დაუწერია, და ეს ქალი დატყუებულა და მომკვდარა. ეს დიდიხნის ამბავია თურმე. ის პირი კი, რომელის მოტყუების მსხვერპლათ ის გლეხის ქალი გახდა, ისევ ცოცხალია და ისე ყელყელობს, რომ თავზე არ ისვამს. ამ სახლს „ცოლიან სახლს“ ეძახიან.

მეჯრუხევი თურმე რო მასწავლებელს ცემას უქადიან აქაური აზნაურები. მრთი აქაური მასწავლებელია, მეორე საზაფხულოთ მოსული. ამ „მოაზროვან“ აზნაურებს გონიათ რომ, თუ არა მასწავლებელი, ვეღარავინ ვერას დასწერსო...

იოსებ დამკვირვებამე.

მკჷმი, 31 აგვისტოს. „დროების“ № 145 დაბეჭდილია მკჷმიდან მიღებული კორრესპონდენტის კარდელე არის გამოყვანილი, სხვათა შორის, განცხადება, რომ კონტროლიორი (გამომეძიებელი) მისულა მკჷმში, უნახავს პოლკის კანცელარია და წასულა.

ეს საქმე მოხდა 7 და 8 ივლისს. მას აქეთ ხალხსა, ესე იგი მომჩივნებსა აჯავრებდნენ კანცელარიას შემწყვებნი, რომ ვითომ მომჩივნებსა არავინ ყურადღებას არ აძლევდნო..

მხლა დიდი ხანი არ არის მას უკანა, რომ მისულა სამურზაყანოს პოლკის კამანდირი თ. ჭავჭავაძე მკჷმში და უთქვამს მომჩივნებისათვის, რომ მათ საჩივარმა არ იწარმოვა. ამით უნდა შეეცყო მომჩივნების ჰაზრი, მაგრამ მათ უპასუხეს: „ჩვენ განგვიცხადებია ის, რაც მივიღეთ ომის დროში; არც მოუკლეთ და არც მოუმატეთ მასაო, აქანე ვისაც სიმათლეთ აქვს, ის მართლათ დარჩებო და მტყუენიც გამოჩნდებო.“

19 ივნისში (1878) კიდევ მოვიდა კონტროლიორი მკჷმში, თან მოიყვანა ერთი ჩინოვნიკი და თითქმის პირველ აგვისტომდინ აქ იყო განჩივნაში და განკითხვაში, მილიციონერად ვინც ყოფილა სამურზაყანელები ყველა მოუწოდებია და ყველასათვის თითოეულად უკითხამს: რას აძლევდნენ? ბოლოს გამოუცხადა ხალხს, რომ რაც უწარმოებია ანუ განურჩევია ამ საქმისა, მალე მოგივათ თქვენთვის სამხიარულო ანბავიო.

აგერ ერთი თვე გავიდა და მეორე დაიწყო მას აქეთ, რაც იყო გამოძიება და განკითხვა, და მომჩივნებმა არ იციან: მათი საქმე წარმოებს თუარა. მომჩივნებს უკითხავთ უფალ აფხაზეთის უმფროსისთვის და იმას მიუტია ნუგეში და უთქვამს, მალე შეიტყობთ ანბავსაო.

30 აგვისტოს დაითხოვა აფხაზეთის უმფროსმა ექვსი სოტნა სამურზაყანელების პოლკი; სამურზაყანელებსკი ეგონათ

# ფელტონი

## მართი სიხარული

მის ბოლო მოედო ბერლინის ტრაქტატით და ამ ბოლოს ის შედეგი ჰქონდა, რომ ჩვენ უნდა შეგვეძინა უომოთ ორი აქარა, ბათუმი და შობულეთი.

მათარს ეს არ ექაშნიკა, გულით არ ისურვა იმან დათმობა და დაკარგვა ამისთანა მშვენიერი ლუკმისა. ბული და კული ეწოდა; მაგრამ რა უნდა ექმნა, როცა საქმნელი არაფერი არ დაურჩა? ხმის ამოდების საშვალთ აღარა ჰქონდა; ჩამოსახრჩობი თოკი ყელამდის მიღწეენილი ჰქონდა...

მაგრამ გამოუჩნდნენ მამულის მოყვარე და თანამგრძობი შეილები — ღვრევიშაშის სახით. ამან მაინც მოინდომა რითიმე ჯავრის ამოყრა; დაიწყო ქადაგება

ჩვენ წინააღმდეგ თავისი შორანიდამ აქარაში; აქვებდა ხალხსა, აგონებდა მაჰმადის ძლიერებას, ომის სუფევის მშვენიერებას თავისი უმშვენიერესი ფერიებით და შარბათით... არწმუნებდა ხალხს, რომ, უკეთუ ისინი წინააღმდეგობიან ურჯულოებს, ეს ყოველი სიამოვნება საიქიოს იმათი იქმნება. გზავნიდა სოფლებში მოლლებს და ყადებს ხალხის მისაზიდველათ.

რისთვის შერებოდა ამას? ჯავრის ამოსაყრელათ. პიღვე იმისთვის, რომ უნდოდა შური ჩამოეგდო ჩვენ და ჩვენი მოძმეების შორის; უნდოდა, რომ ძმას ძმის სისხლი დაედგარა...

მაგრამ ბოლოს საქმემ სხვა სახე მიიღო: ღვრევიშაშმა ამას ჩადიოდა კერძოთ. შოველიფერი რომ გამოაშკარდა, მაშინ ღვრევიშაშმა ციცასავით უკან გადადგა, დაიწყო თითებით რძე პარიამ ტუჩების წმენდა. გამოუცხადა იმან დამ-

ზადებულ ხალხს: „ჩვენ ახლა ვერაფრით ვერ მოგვხმარებთ, ხელს ვერ მოგიმართავთ, რადგან შურითაჲ — კონგრესმა თქვენ გარგუნათ გიაურს; როგორც გინდათ, ისე მოიქეცით!“

ხალხმა მხოლოდ მაშინ გაიგო, რომ მოტყუილებული იყო; ჩაფიქრდნენ, წარმოიდგინეს თავიანთი აწმყო და მომავალი ბედი, დახედეს და გონებაზედ მოვიდნენ.

მათარიც ამ შემთხვევაში აშობდა: „ჩემთვის ურგები ქოთანნი ქვას და მაწონი — ძალისა.“

ახლა მკითხველი მეტყვის: რას აქიანურებო, თუ გაქვს სათქმელი, სთქვი, ენახოთ, რა სასიხარული ამბავი უნდა გვიანბო!

სასიხარულო ამბავი იმაში მდგომარეობს, ჩემო მკითხველო, რომ გუშინ ჩვენი დაკარგული, დიდი ხნისა განშორებული მოძმეები მოგვიბრუნდნენ და

რომ ისინი იქნება საშუალოთ. ბევრ-  
იფიქრა, რომ საჩივრის გამო არის დაშ-  
ლილი სამურხაყანელი პოლიცი, მაგრამ  
აუხსნენ, რომ ომი გათავდა და უბრა-  
ლო ჯარი რათ უნდოდა ხემწიფესაო.

მკუთხელი მოვაჭრეები გულ-ნაკლუ-  
ლათ არიან, რადგან ესმისთ, რომ მალე  
სოხუმში გაიხსნებაო და მაშინ მკუთ-  
ხეში ნაკლებათ იქნება ვაჭრობაო. სოფ-  
ლათ მცხოვრებნი სამურხაყანელები ძა-  
ლიან მხიარულობენ, რა ომი გათავდა  
და ქვეყანა დაწყნარდა; მაგრამ ამბობენ,  
რომ ძლიერი ქურდობა ატყდებოდა რადა  
გან ახალგაზდა ყმაწვილები დაეჩივნ  
უსაქმობას და ცხენით დატარებასა და  
ორი წელიწადია, რომ არ უმუშაოთ  
და დაეიწყდათ სოფლის მუშაობაო. არ  
იციან—რა საშუალება იხმარონ, რომ  
ქურდობა მოიხსნოს. უნდა მოგახსენოთ,  
რომ ქურდი და ავაზაკი არიან პირველი  
მეგობრები ზოგიერთი მოთავე და გამო-  
ჩენილი თავადებისა...

მკიკი

# უცხო ქვეყნები

## ოსმალეთი

„პოლიტიკურს ძორრესპონდენციაში“  
იწერებია სტამბოლიდან:

„მოგვხსენებათ, რომ ბერმანის მმარ-  
თებლობა ცდილობდა, რომ მეროპის  
უმთავრეს სახელმწიფოებს მიეცათ ოსმა-  
ლეთისათვის წინადადება ბერლინის ტრაქ-  
ტატის შესრულების თაობაზე და გან-  
საკუთრებით საბერძნეთის დაკმაყოფი-  
ლებაზე. ნამდვილად შევიტყუე ახლა,  
რომ ბერმანიამ აიღო ხელი ამ წინადა-  
დებაზე, რადგან ინგლისმა უარი განა-  
ცხადა; ამბობენ, აქაურ ინგლისის ელჩი-  
მა ლეიარდმა აცნობა თავის მთავრობა-  
საო, რომ ამნაირი წინადადების მიცემა  
არ არის საჭიროო, რადგან ოსმალეთი  
უიმისოთაც ცდილობსო, რომ შეასრუ-

ჩვენგან მიღებას სთხოვლობენ: ზედა  
და შვედა აჭარადამ მოვიდნენ ოლო-  
გომში იქაური ხალხის წარმომადგენე-  
ლები ჩვენი ჯარის უფროსთან და გა-  
მოუცხადეს:

„მიგვიღეთ სიყვარულით და სახარუ-  
ლით! რამეთუ ვიყავით დაკარგულნი—  
გვოვეთ, რამეთუ გაწყენინეთ—მოგვი-  
ტევეთ, დაივიწყეთ ყოველი ჩვენი შეც-  
დომანი და მიგვიღეთ ვითარცა მუშაკნი  
დღიურის სასყიდლითა“.

იმათ წარმოადგინეს აღრესი მის შმა-  
ლღესობის სახელობაზედ იმ აზრისა,  
რომ ჩვენ მალე მივიღოთ ისინი ჩვენ  
ფრთებ ქვეშა.

ღღეს ჩვენი ჯარი მოვიდა ართვინში  
და უნდა შესულიყო სინის-ძირში. 25-ს  
მორივე აჭარები ჩვენი იქმნება...

ართვინში შესვლა იყო გულის შემა-  
ძრუნებელი სურათი. ღილის საათის  
შვილზე ღღეს ამოვიდნენ ოლოგომში

ლოს ყველა პირობა ბერლინის ტრაქ-  
ტატისაო, იმან დაუთმო რუსებს ციხე-  
ები, სერბიასა და ჩერნოგორიასთან მო-  
სარიგებელად მეჰმედ-ალი ფაშა გაგზავ-  
ნაო და სხვ. ღარაც შეეხება საბერძნეთს,  
იმასთან მორიგება სხვა სახელმწიფოე-  
ბის შუამავლობაზედ არის დამოკიდებუ-  
ლიო და ამ შუამავლობას მოეღისო.“

— ღერვიშ-ფაშას შეუჩივლია თავის  
მმართველობისათვის, რომ რუსებმა ბა-  
თუმიდამ ჯარების გამოყენა არ მაცა-  
ლესო, ისე შემოიყვანეს ამ ქალაქში  
თავის ჯარებიო.

— სტამბოლის გაზეთებში ასე არის  
აწერილი მეჰმედ-ალი-ფაშის მოკვლის  
ამბავი:

„ალბანიაში მისვლისა-თანავე მეჰმედ-  
ალი-ფაშამ მიიხმო ღიაკოვში იქაური  
აჯანყებულების მოთავე პირები იმ გან-  
ზრახვით, რომ გამოუცხადოს იმათ თა-  
ვის მონღობილობა ოსმალეთის მთა-  
ვრობისაგან და აგრეთვე უჩიოს იმათ,  
რომ თოფ-იარაღი დაეყარათ და დამორ-  
ჩილებოდნენ თავის ბედს.“

„მოგროვდნენ თუ არა, მეჰმედ-ალი-  
ფაშამ გამოუცხადა იმათ, რომ ოსმალე-  
თის მთავრობას არ შეუძლიან დაეხმარ-  
ოს და მეროპის საზოგადო გარდაწყვე-  
ტილებას წინ აღუდგეს. ზაიგონეს თუ  
არა ეს, კრებაში შეიქნა საშინელი ხმა-  
ურობა; ქუჩაში მოგროვილმა ხალხმაც  
ყვირილი და მუქარა დაიწყო. როგორც  
იყო მუჭტიმ ცოტათი დააშოშმინა ეს  
გაბრაზებული ხალხი და ამ დროს მეჰ-  
მედ-ალი-ფაშამაც მოახერხა ხელ-უხლე-  
ბელად გამოსვლა კრებიდან და შინ წა-  
სვლა.“

„იმ დღეს მეჰმედ-ალი-ფაშამ სხვა სა-  
ხლში გაათია ღამე, რადგან ეშინოდა.  
მაგრამ მეორე დღეს იქაც მიაგნეს, და-  
ეცნენ თავს, ამოვლიტეს იმის ყარაუ-  
ლები 40 კაცამდინ და თვითონაც მოჰ-  
კლეს; 16 ალაგას ჰქონდა იმას ხანჯალი  
დაკრული“.

— მრთს ფრანკუზულს გაზეთში იწე-

ჯარის უფროსთან ართვინის წინა პირ-  
ნი თანაგრძობის და ერთგულობის გა-  
მოსაცხადებლათ.

მზე კარგათ ამოვიდა. ჩვენი ჯარი  
მზათ იყო ართვინში პარადით შესვლა-  
ზე. ზარბაზნის პირველმა ხმამ გვაცნო-  
ბა, რომ ჯარის წასვლის დრო მოვიდა.  
ჯარი დაიძრა. ამოსული ხალხი ჯგუფ-  
ჯგუფათ მისდევდა ჯარს.

იკროდა მუზიკა. ღვწ-ხმლების ხმაუ-  
რობა, ჩვენი ჯარის და იმის უფრო-  
სების ტანისამოსის შეხედულება, ის საე-  
რო სინარული, რომელიც ეწერა ყველა-  
სა სახეზე—ამშვენებდა ამ სურათს.

ზავარდა ოც-და-ერთი ზარბაზანი, ირე-  
კებოდა სომხის და ფრანგების საყდრე-  
ბში ზარები.

მთელს ჯარის უფროსებს ქალაქმა  
გაუკეთა სადილი. სადილზე დაესწრნენ  
ართვინის იშხანები—თავი კაცები და  
აჭარადამ მოსული წარმომადგენლები;

რებთან, ვითომც ოსმალეთმა, საფრანგე-  
თმა და იტალიამ პირობა შექმნეს,  
რომლის ძალითაც ამ უკანასკნელი ორი  
სახელმწიფოს ჯარებმა უნდა დაიკავონ  
მხირი, თესსალია და ალბანია იმ დრო-  
მდინ, სანამ ამ ქვეყნების ხალხს სრული-  
ად არ დაამზიდებენ და სანამ საბერძ-  
ნეთი და ოსმალეთი არ მორიგდებიან  
ერთმანეთშიო.

## ინგლისი

თეირანიდამ იწერებია ერთს ინგლი-  
სურ გაზეთში, რომ აჭგანისტანის ემირი  
არ მიიღებს ინგლისის ელჩებს და არ-  
დათანხმდება იმ წინადადებებზე, რომელ-  
საც ეს სახელმწიფო თხოვლობსო. ამის  
გამო საფიქრებელიაო, რომ აჭგანისტან-  
სა და ინგლისის შუა შეტაკება მოხდესო.

ამ კვირაში მოსულმა დეპეშამ შეგვა-  
ტობინა, რომ საქმე მართლაც ასე გა-  
თავებულა: ემირს უკან დაუბრუნებია  
გზიდან ინგლისის ელჩები.

რუსის ელჩი ღენ. აბრამოვი კი, რო-  
გორც ესე დეპეშა გვატობინებს, ემირს  
დიდის პატივით მიეღო და ამ ორ სა-  
ხელმწიფოს შუა კავშირი და ერთობა  
დამკვიდრებულა.

— სტამბოლიდან იწერებია, რომ ინ-  
გლისის სამხედრო ფლოტი თან-და-  
თან შორდება სტამბოლს (პრინციის  
კუნძულსო) და როცა რუსები სულ გაი-  
ყვანენ თავის ჯარებს სან-სტეფანოდამ,  
მაშინ კი ინგლისიც თავის ფლოტს  
ზალიზოლიმდინ დააბრუნებსო.

## რუსეთი

ზაზეთს „ახალს დროებაში“ დაბეჭდი-  
ლია ოღდესილამ 5 ენკენისთვეს მიღე-  
ბული შემდეგი დეპეშა:

„ამ დღეებში დაბრუნდა აქ ბათუმი-  
დამ მთავარი კამანდირი შაფი ზღვის  
რუსეთის ფლოტისა არკასი. ამბობენ,  
იმან სთქვაო, რომ ბათუმი ძვირფასი  
შეძინება არის რუსეთისთვისაო. ჩინებუ-

ეს უკანასკნელები ამალამ უნდა დაბ-  
რუნდნენ შინ და გვამდიეს პარობა,  
რომ ყოველგან ამ ნაირი თანაგრძნო-  
ბები ეყოლება ჩვენს ჯარს.“

აი ეს სასინარული ამბავი განლავს,  
რომელიც უნდა უძღვნა ჩემს მკითხვე-  
ლებს. აბა, ძმებო, გვმართებს დავკლათ  
ძროხა, ხარი, დაუკრათ ბუკი და ვიმხიარ-  
ულოთ, რადგან ვპოვეთ ღღეს ჩვენი  
გზა-დაბნეული ძმები! მაგრამ მართო სი-  
ხარულიც არ კმარა... მაგრამ ამაზედ  
სხვა დროს...“

ამაზე უკეთესი-ღასინარული იქმნება?  
იმაზე უკეთესი სინარული იქმნება, რომ  
ეს ქვეყნები შეგვეძინა უსისხლის-ღეროთ  
და სრულის მშვიდობით?...“

ს. ბაერელი

23 აგვისტოს.

ლენაუსადგური არისო და ისეთი დიდძალი... რომ იმაში თავისუფლად შეიძლება 30 ხომალდი მოთავსდეს და დადგეს ღელვის დროსაო.

ჭავჭავის სააგენტო გეგმობებს, რომ ეს სტუფანოვანად ამ წაშალ 45,000 კაცი დაუბრუნებიათ რუსებს; კიდევ 80,000 უნდა წამოიყვანონ; ბოლოგარდაში და რუმელიაში კი 100,000 ჯამადინ დარჩება ერთს წლის ვადითაო.

### ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ლონდონი, 14 სექტემბერს. ზომეტე-ბული ნაწილი ინგლისური გზებებისა თხოვლობენ, რომ აჭვანისტანის წინა-აღმდეგ ენერგიული და სასტიკი საშუალება იხმაროს ინგლისის მთავრობამ. ბაზეთს „ტაიმს“ მოუყვიადა პალკუტინადამ ტელეგრაფმა, რომ როდესაც ინგლისის ელჩები არ შეუშვებს აჭვანისტანის სამხრეთში. ალი-მუსვიდის კამენადანტკა უთხრა ინგლისის ერთს ელჩს მაიორს პოვანარის, რომ მხოლოდ პირადი მეგობრობა მბრკოლებსო, თორემ უეჭველად დაგზავრეტავდითო.

### განსხვავება

შოჩის გამგეობა აცხადებს, რომ გასული 16 აგვისტოდამ დაწყებული ახალ-სენაკსა და ზუგდიდს შუა მუდამ დღე ფოჩის ომნიბუსები დაიარება. ახალ-სენაკიდან მუდამ დღე დღის 8 საათიდან გადის ომნიბუსი და 1 საათზე და 45 მინუტზე ზუგდიდში მიდის; ზუგდიდიდან კი გამოდის ნაშუადღევს 2 საათზე და ახალ-სენაკში საღამოს 7 საათზე და 30 მინუტზე შემოდის. (3-1)

ამ წლის 1 ოქტომბრიდან შემდეგ ქალაქებში მთელი სიღრმად გასაგზავნ დეპეშებში—20 სიტყვაში—გადახდება, 1 მანეთის მფიერად, 50 კაპეიკი: მთელი სიღრმად: აბაზ-მთიანში, ალექსანდრაპოლში, ახალციხეში, ბორჯომში, მლაღრიკავაზში, ბროზნაში, მლისავეტპოლში, მთერემოკაში, ზაქათალაში, პარსში, ქედაბეგში, ქუთაისში, ნუხაში, ჩახატურში, ხასავ-იურტში, ქრევიანში, მხმიაძინში, აჯამეთში, ბეკათუბანში, ბელაგორში, ძირულაში, შონში და მორალისში. (2-1)

### ქუთაისში ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში ისჯიდება:

- 1) დედა მნა, ი. ბოგებაშვილისა, ფასი 45
  - 2) სნუპა ბატონიშვილი, ისტორიული მოთხრობა ბრ. ჩიქულაივისა ფასი 20კ
  - 3) სოლი ვიტიკო, თუ ფული? პომელია აღ. მთაყვისა, ფასი 30 კაპ.
  - 4) ვეფხვის ტყარსანი, შოთა რუსთველისა, ფასი 50 კაპ.
  - 5) ვეფხუ ლიკი, დრამმა შექსპირისა, ფასი 60 კაპ.
- და აგრეთვე სხვა ყოველგვარი ქართული და სახელმძღვანელო რუსული წიგნები კარტები, ატლასები, სურათები და სხვ.

### ამ დღეებში მივიღეთ თბილისში სანაქებო დაგდა-რი ქროსის ეზო

სიბირის მხრიდან, რომელიც ისყიდება თამამოვიის ქარვასლასთან, მთუთუნოვის კანტარის წინა. ბოჩით მყიდველისათვის ფუთი 13 მანეთი, ფუთობით და ნახევარ ფუთობით 14 მანეთი და გირვანქობით ორი აბაზი. მეტათ საქებურიც ამ ეზობს სუნი და გემო.

ზამოვიდა და ისყიდება... ლისში მართანოვის, ჩარკიანის და სხვათა წიგნის მალაზიებში.

### დედანი

შედგენილი და გამოცემული პეტ. შიკაშვილისაგან შანი სამი კაპეიკი

მეოთხედი თაბაზი საწერის ქალაქი-სა. შეიცავს 5 სავარჯიშულს: 1. ანბანის დედანი მგრეგორის ხელისა; 2. შავი ფიცი ვიგნილამ გაღმარევიანის მგრეგორის ხელით; 3. ანბანის დედანი ნუსხურის ხელისა და 4. დედანი (იგნევი არის მავალით) გაღმარევიანის ხელისა; 5. ნაწილში შურის ხელით. ბოლოს 5 ნაწილში არის მავალითები—რა უმთავრესის საფუძვლით ებმის ასოების ერთმანერის გაბმულის ხელით წერაში.

აგრეთვე ისყიდება მისივე გამოცემა წიგნი სიგრაქა სიცრუისა თხზულება საბა ორბელიანისა. შანი ათი შაური თ. გრიგოლ ორბელიანის ლექსები. სქელ ქალაქდზე. შანი ერთი მანეთი. (5-5)

### ბიგო ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში ისჯიდება:

### „ნიხო“

მრთხრობა თავადი რაფიელ შრისთეისა შანი 15 კაპეიკი.

რ. მ. შ. ა.	დ. ა.	ს. ა.	II კ.	III კ.	ტელეგრაფი	მ. შ. კაპ.	მაზანდა	მ. შ. კაპ.	თხილისის სამაჟსრალო
მთილისი	9 21	5 18	მ. კაპ.	მ. კაპ.	მ. სიტყვა მთელი სიღრმად:		მთილისი, 15 სექტემბ.		მრეხს მაედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.
მცხეთა	10 11	6 27	68	38	ქუთაისს, შოთს	1	ფქვ. თეთ. ბანჯესა, ფთ.	1 65	ავეთყოფებს მიიღებენ ყოველს დღე დღის 9 საათიდან 1-მდინ.
ბორჯ.	11 58	9 43	2 40	1 33	ბორჯ., ლეშეთს, სიღნაღს	50	ფქვილი წითელი	1 40	მ. რ. შ. შ. ა. თ. ს: მერმიშვიე და ბან რალევიჩი—შინაგ. ავთა, მთურა-როინც—საჯარო ექიმია და ცაშვი-ლოას ოპერაციები.
ხაშური	1 29	11 57	3 92	2 18	როსტოვს, მდესას, მოსკოვი	2	ქერი ფუთი	1 30	ს. შ. შ. შ. ა. თ. ს: მერმიშვიე — შინაგ. ა. ბ. ხუტოვი—საბებიო და ბაგ-შეის, პუუნოვი—თვალის.
სურამი	1 44		4 42	2 46	პეტერბურგს, მარაგას	2	ბამბა მრევიჩისა, ფუთი	7 50	მ. თ. შ. შ. ა. თ. ს: მერმიშვიე — შინაგ. ა. ბ. ხუტოვი—საბებიო და ბაგ-შეის, პუუნოვი—თვალის.
ქვირილა	5 49		5 81	3 23	ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	— ამერიკიკა, ფუთი	8 50	მ. თ. შ. შ. ა. თ. ს: მერმიშვიე — შინაგ. ა. ბ. ხუტოვი—საბებიო და ბაგ-შეის, პუუნოვი—თვალის.
რიონი	6 51		6 75	3 75	იტალიაში და საფრანგეთში	3 50	ბაპენტალი მ. შ. შ. ა. თ. ს.	10	მ. თ. შ. შ. ა. თ. ს: მერმიშვიე — შინაგ. ა. ბ. ხუტოვი—საბებიო და ბაგ-შეის, პუუნოვი—თვალის.
სამტრედია	7 51		7 73	4 29	ინგლისში	3 75	მატელე თუშური ფუთი	8	მ. თ. შ. შ. ა. თ. ს: მერმიშვიე — შინაგ. ა. ბ. ხუტოვი—საბებიო და ბაგ-შეის, პუუნოვი—თვალის.
ახალ-სენაკი	8 43		8 57	4 76	ფოქტა		— მარაჟიხისა ფუთი	4 50	მ. თ. შ. შ. ა. თ. ს: მერმიშვიე — შინაგ. ა. ბ. ხუტოვი—საბებიო და ბაგ-შეის, პუუნოვი—თვალის.
შონი	9 50		9 75	5 42	ა) მთილისიდან: სამხლვარ გარ-ტა, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სურამს. მ. შ. შ. ა. თ. ს: მერმიშვიე — შინაგ. ა. ბ. ხუტოვი—საბებიო და ბაგ-შეის, პუუნოვი—თვალის.		— მარაჟიხისა ფუთი	4 50	მ. თ. შ. შ. ა. თ. ს: მერმიშვიე — შინაგ. ა. ბ. ხუტოვი—საბებიო და ბაგ-შეის, პუუნოვი—თვალის.
შოთი	9 3				ბ) ქუთაის-ნიდან: მთილისისა და შოთისკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. მ. შ. შ. ა. თ. ს: მერმიშვიე — შინაგ. ა. ბ. ხუტოვი—საბებიო და ბაგ-შეის, პუუნოვი—თვალის.		— მარაჟიხისა ფუთი	4 50	მ. თ. შ. შ. ა. თ. ს: მერმიშვიე — შინაგ. ა. ბ. ხუტოვი—საბებიო და ბაგ-შეის, პუუნოვი—თვალის.
ახალ-სენაკი	10 14		1 18	66	წიგნის გაგზავნა რუსეთში კაპ. და სამხლვარ გარეთ:		პბრეშუმი ნუსხური სტ	2	მ. თ. შ. შ. ა. თ. ს: მერმიშვიე — შინაგ. ა. ბ. ხუტოვი—საბებიო და ბაგ-შეის, პუუნოვი—თვალის.
სამტრედია	11 5		2 6	1 14	ღია წიგნის	4	ქონის საწთლი ფუთი	5 50	მ. თ. შ. შ. ა. თ. ს: მერმიშვიე — შინაგ. ა. ბ. ხუტოვი—საბებიო და ბაგ-შეის, პუუნოვი—თვალის.
რიონი	12 13		3 4	1 69	ღ. ბ. ჭვილის (ხაზი მისხალი)	8	სტეპარინის სთეფი, ფთ.	12 20	მ. თ. შ. შ. ა. თ. ს: მერმიშვიე — შინაგ. ა. ბ. ხუტოვი—საბებიო და ბაგ-შეის, პუუნოვი—თვალის.
ქვირილა	1 18	ლაშე	3 98	2 21			ხორცი მრეხისა, ლიტრა	81	მ. თ. შ. შ. ა. თ. ს: მერმიშვიე — შინაგ. ა. ბ. ხუტოვი—საბებიო და ბაგ-შეის, პუუნოვი—თვალის.
სურამი	5 12	1 10	5 33	2 96			სპირტი ფედრონი	4 80	მ. თ. შ. შ. ა. თ. ს: მერმიშვიე — შინაგ. ა. ბ. ხუტოვი—საბებიო და ბაგ-შეის, პუუნოვი—თვალის.
ხაშური	5 39	1 37	5 84	3 24			შაქარი, ბრტ. ფუთი	7 50	მ. თ. შ. შ. ა. თ. ს: მერმიშვიე — შინაგ. ა. ბ. ხუტოვი—საბებიო და ბაგ-შეის, პუუნოვი—თვალის.
ბლოი	7 5	4 87	36	4 9			ფხვნილი ფუთი	6	მ. თ. შ. შ. ა. თ. ს: მერმიშვიე — შინაგ. ა. ბ. ხუტოვი—საბებიო და ბაგ-შეის, პუუნოვი—თვალის.
მცხეთა	8 50	6 59	9 8	5 4			ქავა გრეგოლი მგრივ	70	მ. თ. შ. შ. ა. თ. ს: მერმიშვიე — შინაგ. ა. ბ. ხუტოვი—საბებიო და ბაგ-შეის, პუუნოვი—თვალის.
მთილისი	9 31	7 56	9 75	5 42			ხეთი ქუთუთისა ფუთი	14	მ. თ. შ. შ. ა. თ. ს: მერმიშვიე — შინაგ. ა. ბ. ხუტოვი—საბებიო და ბაგ-შეის, პუუნოვი—თვალის.
							მამაქო, საშუალო ფთ.	12	